საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 5359/01
28/05/2021

5359-01-2-202105281742

შპს „ბ.პ. ტრანსის“ დირექტორს ბიჭიკო პაიკიძეს
ელ. ფოსტა: Teimuraz-1955@mail.ru

ბატონო ბიჭიკო,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 11 მაისის N8160 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ონის მუნიციპალიტეტში, სოფ. უწერაში ქვა-ღორღის გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი ინფორმაცია:

- საპროექტო ტერიტორიიდან, მათ შორის დანადგარიდან მანძილი უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე;
- ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტზე ზემოქმედების შესახებ;
- ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების შესაძლო დაბინძურების საკითხი;
- საწარმოში დასაქმებულ ადამიანთა რაოდენობის შესახებ;
- სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებული წყლის შესახებ;
- დაზუსტებას საჭიროებს ნედლეული ტრანსპორტირების საკითხი, კერძოდ გამოყენებული ავტოტრანსპორტის მახასიათებლები (ძარის ტიპი, ტვირთამწეობა);
- სკრინინგის განცხადებაში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციისას დაგეგმილია თუ არა მცენარეულ საფარზე ზემოქმედება, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს საპროექტო ტერიტორიის გენ-გეგმა, დანადგარის განთავსების მითითებით;
- სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაცია დანადგარის ტიპის შესახებ;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, საქმიანობა დაგეგმილია შპს „ბ.პ. ტრანსის“ კუთვნილებაში (ქირავნობის/არენდული უფლებით) არსებულ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების 1000 m^2 ფართობის მიწის ნაკვეთზე (ს/კ 88.09.22.107). ამასთან, სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია საპროექტო ტერიტორიის GPS კოორდინატი. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ

აღნიშნული მიწის ნაკვეთის საერთო ფართობია 22459 მ^2, ხოლო წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო ტერიტორიის ზუსტი ადგილმდებარეობა, შესაბამისი სქემის (საპროექტო ობიექტის გენ-გეგმა) მითითებით. ამასთან, დაზუსტებას საჭიროებს სკრინინგის განცხადებით წარმოდგენილი GPS კოორდინატი წარმოადგენს ზოგადად საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობის ამსახველ წერტილს, თუ უშუალოდ დანადგარის განთავსების კოორდინატს; სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორია მდ. რიონის კალაპოტიდან 55 მეტრით არის დაშორებული. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაზუსტებას საჭიროებს მანძილი მდინარის კალაპოტიდან საწარმომდეც;

- სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმოო მიზნებისთვის წყალაღება მოხდება მდ. რიონიდან. სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას წყალაღების წერტილის (GPS კოორდინატი) და გამოყენებული წყლის ხარჯის შესახებ;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, სალექარში ჩამდინარე წყლის ძირითადი ნაწილი ბრუნვითი წყალმომარაგების მიზნით, ტუმბოების მეშვეობით მიეწოდება სამსხვრეველას შესაბამის აგრეგატებსა და კვანძებს ინერტული მასალების გარეცხვისა და დანამვის მიზნით, ხოლო მცირე ნაწილი სალექარის გავლით ადგილის რელიეფში. დაზუსტებას საჭიროებს რელიეფში ჩამდინარე წყლის რაოდენობა.

სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით იმსჯელებს ზემოაღნიშნული შენიშვნების შესაბამისად შესწორებული სრულყოფილი სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

პატივისცემით,

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე